ო ქ მ ი N9

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი **2025 წლის 11 აგვისტო**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 19 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს და თვითმართველი ქალაქის/ თვითმართველი თემის მერის 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ლ. ადანაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა

1. „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს და თვითმართველი ქალაქის/ თვითმართველი თემის მერის 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი)

მოისმინეს: მ. რუხაძე - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს და თვითმართველი ქალაქის/ თვითმართველი თემის მერის 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2025 წლის 5 აგვისტოს N05/08/01 განკარგულებით მორიგი „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს და თვითმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნების თარიღად განისაზღვრა 2025 წლის 4 ოქტომბერი. საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს სარჩევნო კოდექსი“ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის დადგენილია შემდეგი ვალდებულებები: ა) არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 10 დღისა გამოყოს და გამოაქვეყნოს იმ ადგილებისა და სტენდების ჩამონათვალი, სადაც საარჩევნო სუბიექტებს შეეძლებათ საარჩევნო პლაკატებისა და სააგიტაციო მასალის გაკვრა; ბ) წინასაარჩევნო პერიოდში ხელი შეუწყოს საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში და ამ მიზნით გამოყოს შესაბამისი შენობა-ნაგებობები. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი

განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ლ. ადანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N13 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2025 წლის 11 აგვისტოს რიგგარეშე სხდომაზე

დამსწრე საკრებულოს წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ნუგზარ შუშანია
5. მედეა თათარიშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. დოდო გაბუნია
9. აკაკი მალანია
10. ქეთევან კვირიკაშვილი
11. ბექა ხარბედია
12. მზია ლემონჯარია
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. აკაკი ხურცილავა
16. სერგო ბერაია
17. მაკა ჩარტია
18. გივი ლატარია
19. ფრიდონ კუკავა